დინამო წინ მიიწევს

მოსკოვი. "დინამოს" სტადიონი. 31 ივლისი.

ცსკა - "დინამო" (თბილისი) 2:3 (2:1).

ცსკა: შიშკინი, კრუგლოვი, კოვაჩი, სამოხინი, კობიშჩა (გალიამინი), პონომარიოვი, ჩესნოკოვი, ბულგაკოვი, ტარხანოვი (შტრომბერგერი), ტარანი, კოლიადკო.

"დინამო": გაბელია (იმნაძე), ანდღულაძე, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, დარასელია, სვანაძე, სულაქველიძე, გუცაევი (ჟვანია), ცავა, შენგელია.

დუბლიორები - 1:2. დინამოელთა ორივე ბურთი გაიტანა გურულმა.

სულ ახლახან თბილისის "დინამოს" აკლდა მსოფლიო ჩემპიონატზე საკავშირო ნაკრებში დელეგირებულთა მთელი ჯგუფი და ეს დანაკლისი მნიშვნელოვნად იგრძნობოდა. იმ პერიოდში გუნდი ვარჯიშობდა, ამხანაგურ მატჩებსაც მართავდა და პირდაპირ უნდა ითქვას, მისი თამაში შორს იყო "ნორმისაგან". მაგრამ კოლექტივს დაუბრუნდნენ ნაკრების ფეხბურთელები, მათთან ერთად დაბრუნდა უფროსი მწვრთნელი ნ. ახალკაციც და თბილისის "დინამომ" თავისი ნამდვილი სახე მიიღო. უფრო მეტიც, გუნდმა საკუთარ მინდორზე საუკეთესოდ ჩაატარა ჩემპიონატის ზედიზედ 4 მატჩი, 8 შესაძლებლიდან 7 ქულა აიღო ძნელ მეტოქეებთან (ბაქოს "ნეფთჩი", მოსკოვის "დინამო" მოსკოვის "სპარტაკი", ერევნის "არარატი") და, შეგვიძლია ვთქვათ, ამ მატჩებში გაცილებით უფრო უკეთესი, მობილიზებული თამაში აჩვენა, ვიდრე სეზონის თითქმის ყველა სასტარტო შეხვედრაში., თამამად შეიძლება ლაპარაკი იმაზე, რომ გუნდმა კვლავ მიაგნო იმ "ძარღვს", რომელმაც მას შარშან საშუალება მისცა ევროპული მასშტაბით გამოეჩინა თავი.

კალენდარული მატჩების ივლისის წაუგებელი სერიის შემდეგ თბილისელთათვის დღის წესრიგში დადგა გასვლითი შეხვედრები და მათგან პირველი - მოსკოვში, არმიელთა გუნდთან. თქმა იმისა, რომ ცსკა წლეულს ძლიერად თამაშობს და რაიმე განსაკუთრებულით გამოირჩევა, არ იქნებოდა სწორი, პირიქით, არსებითად იგი სახიფათო ზონაშია და ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ სატურნირო ცხრილის შუაში გადაინაცვლოს, მაგრამ საქმეც ისაა, რომ არმიელებს ახლა უჭირთ და ყოველ ზომას მიმართავენ მდგომარეობის გამოსასწორებლად. ეს კი უპირველესად ყოვლისა, თავიანთ მინდორზე უნდა მოაგვარონ! საამისოდ საუკეთესო სტიმული იყო მატჩი თბილისის "დინამოსთან", სწორედ იმ გუნდთან, რომელიც ბოლო ხანებში დაუმარცხებლად თამაშობს.

აი, ასეთი საპრესტიჟო იყო 31 ივლისის მატჩი მოსკოვის "დინამოს" სტადიონზე. მან სავსებით გაამართლა ფეხბურთის მოყვარულთა მოლოდინი - ბრძოლა იყო დაძაბული, საინტერესო, ორივე მხარემ ყველაფერი გააკეთა წარმატების მისაღწევად.

არმიელებმა პირველივე წუთებზე შეუტიეს, სახიფათო მომენტიც შექმნეს სტუმრების კართან, მაგრამ დინამოელებმა მე-7 წუთზე სწრაფი კონტრშეტევა განახორციელეს, ანდღულაძემ მარჯვენა ფლანგიდან ჩააწოდა კარის წინ და შენგელიამ ძნელი მდგომარეობიდან პირველი ბურთი გაიტანა ცსკა-ს კარში - 1:0.

მასპინძლებმა მალე გაათანაბრეს ანგარიში, როცა ჩესნოკოვმა მოულოდნელად და ძლიერად დაარტყა - 1:1, ტაიმის დასასრულს კი კრუგლოვმა შორი მანძილიდან გაგზავნა ბურთი დინამოელთა კარში - 2:1.

ასეთ რთულ სიტუაციაში თბილისელებმა მეორე ტაიმის დასაწყისში სწორი ტაქტიკური გეგმა აირჩიეს, მთელი გუნდით შეუტიეს და 48-ე წუთზე შენგელიას მიერ მოწოდებულ ბურთს სვანაძემ მიუსწრო - 2:2.

ორიოდე წუთის შემდეგ დინამოელები კვლავ უტევდნენ, ერთ მომენტში ცავამ თავი გაითავისუფლა საჯარიმო მოედნის ხაზის გარეთ და ძლიერად დაარტყა მიზანში - 3:2.

თამაშის დამთავრებამდე დრო საკმარისზე მეტი იყო, ორივე გუნდი მოქმედებდა გაბედულად, ტემპიანად, ხშირად ქმნიდა სახიფათო მომენტებს.

თბილისის "დინამომ" მოიგო ეს მეტად საპასუხისმგებლო მატჩი. მოიგო სავსებით დამსახურებულად, აქტიური, შემტევი თამაშით.

ო. ილიაძე (ტელეფონით).
"ლელო", 3 აგვისტო, 1982 წ.